მკალავი და ვირი

ერთი მკალავი იყო. ვირს საფქვავი აჰკიდა, წისქვილში წავიდა, დაფქვა, გამობრუნდა. გზაზე ვირი დაუდგა. ვეღარ დაძრა, დაღონ და. ჯიბეში ნიშადური ედვა, ქვაზე დანაყა და ვირს კუდ ქვეშ მოსცხო, ეგება დასწვას და ააჩქაროსო. რა ნიშადური მოსცხო, ვირი ესეთი გაიქცა, მკალავი ვეღარ მოეწია. დაღონდა: ვირი არსად გარდამეჭრას და არ დავკარგოო. ცოტა ნიშადური თითონაც ამოისვა: ეგების ვირს მივეწიოო.

ასე გაშმაგდა მკალავი, ვირსაც გაუსწრა, სოფელი და თავისი სახლიც გაირბინა. ცოლს მისძახა: ჩემი ნიშადური ცხარი იყო, მე ვეღარ დამდგარვარ და ვირს ეპატრონეო!

– რუქავ, შენც ნიშადური ამოგისვამს, იგი გაჩქარებს, თვარა მეფის წინაშე შენგან და ანუ სხვათაგან მაგ რიგი ვითარ იკადრება?

მერმე ჯუმბერ დადრკა, მამას ეთაყვანა, მიწას აკოცა და ეგრე მოახსენა:

– დამბადებელიმცა შენი დიდვბულ არს, სვემცა შვნი ბედითურთ ამაღლებულ არს, სახელიმცა შენი ნუ დაილევის! შენის სიმაღლით მდაბლის გულითგან ჰბრძანებ, თვარა მე შენსა პირისპირ ჭვრეტასაც არა ღირს ვარ, არა თუ ეგეთსა წყალობასა. მე თუცა შენი მოწყალე ბრძანება მესმიან, ყოველთა დიდებათა უდიდესად მიჩანს.

მე თუ რამ სიკეთე მაქვნ – შენგან, თვარა ვინ ნახა ქვრიმა დათესოს და ებრენიკი მოიმკოს, ანუ ეკალი დაერგოს და ხურმა მაზედ მოეკრიფოს. კეთილი ხე კეთილს მოიბამს, თვარა თავით თვისით ხილი უნერგი კარგი არ იქმნება, და არცა ალქატი ხე რწყვითა და კაზმით გაკეთდება.

არაკად თქმულა: ქორი ქორსა სჩეკს და ძერა ძერუკასაო. ჩემს სიკვთეს მე ნუ მაკვეხებ და ნურც მე მადებ.

გალატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა?

მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქებელია, თუ მხედრისა?

შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე – შენგან, და წვრთილობა – ლეონისაგან. არა ამისთვის მოგახსენებ, ლეონს შენგან ბოძება აკლდეს და დიდი წყალობა არა სჭირდეს, არცა ნაათალს ღირსა იგი; მაგრამ მტერი ბევრი უვის და არ შეასმინონ მეფობისა თქვენისა კარსა.

მოახსენა მამას არაკი: